რეგისტრირებულია
ბათუმის საგადასახადო
ინსპექციაში
თარიღი 24.12. 2007 წ.
N [illegible]
ინსპექციის უფროსი ......................

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

# „აბულაძეთა საგვარეულო კავშირი“

## წესდება

ბათუმი 2007 წ.

ძლიერი გვარი ერის ძლიერება

## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აბულაძეთა საგვარეულო კავშირი“

### უფლება

### მუხლი № 1

### ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო იურიდიული პირი „აბულაძეთა საგვარეულო კავშირი“ შემდგომ ტექსტში კავშირი, არის ნებაყოფილობითი არაპოლიტიკური საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად. აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი და სხვა ატრიბუტიკა. აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, განცალკევებული ქონება, ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

1.2. არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლები არიან:

– ვახტანგ აბულაძე, დაბადებული 1958 წლის 17 ივნისს ხულოში. პროფესია ინჟინერ-გეოლოგ-გეოფიზიკოსი, ეკონომისტ-იურისტი. მცხოვრები ქ. ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ. №172/174 -ბინა 30, პირადობის მოწმობა №დ0531110 პირადი №61001044571 გაცემული ბათუმის შს სამმართველოს მიერ 06.09.2004 წელს.

–გიორგი აბულაძე, დაბადებული 1943 წლის 19 ოქტომბერს ქ. ცხინვალში. პროფესია ინჟინერ მშენებელი. მცხოვრები ქ. გორი სტალინის გამზირი №29 ბინა 27. პირადობის მოწმობა №ბ0102894, პირადი №59001005450 გაცემული გორის შს სამმართველოს მიერ 15.03.1996 წელს.

–ლევან აბულაძე დაბადებული 1976 წლის 13 ივლისს ხულოში. პროფესია იურისტი, მცხოვრები ხულოს რაიონის სოფ. შურმული. პირადობის მოწმობა №გ0019847, პირადი №61009005011 გაცემულია ხულოს შს რაიგანყოფილების მიერ 2001 წლის 5 აპრილს.

–ზაურ აბულაძე, დაბადებული 1961 წლის 19 ნოემბერს ხულოს რაიონში. პროფესია ექიმი–სტომატოლოგი, მცხოვრები ქედა. დაბა ქედა რუსთაველის ქ. №23 პირადობის მოწმობა №ბ0010482, პირადი №61001001838 გაცემული ქ. ბათუმის შს სამმართველოს მიერ 04.05. 1995 წელს.

–რევაზ აბულაძე, დაბადებული 1950 წლის 21 ივნისს ქედაში. პროფესია პედაგოგი, მცხოვრები ქ. ბათუმი ჯავახიშვილის 71 ბინა 19. პირადობის მოწმობა №გ0453181, პირადი №61008006386 გაცემული ქედის რაიონის შს რაიგანყოფილების მიერ 29.12. 2003 წელს.

–მინურ აბულაძე, დაბადებული 1955 წლის 16 ოქტომბერს ხულოს რაიონში პროფესია პედაგოგი, მცხოვრები ქ. ბათუმი ბესიკის ქ. №42 ბინა 48. პირადობის მოწმობა №გ0011894, პირადი №61001007249 გაცემული ქ. ბათუმის შს სამმართველოს მიერ 22.11. 1995 წელს.

1.3. არასამეწარმეო იურიდიული პირი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1.4. არასამეწარმეო იურიდიული პირის ადგილ სამყოფელია საქართველო, ქ. ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ. №172/174 ბინა 30. ტელ: 7-53-61.

### მუხლი II

### არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნები და ამოცანები

2.1. კავშირი ხელს უწყობს საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრები აბულაძეთა გვარის კეთილდღეობაზე ზრუნვას, სახელმწიფოებრივ პატრიოტული სულისკვეთებით შეკავშირებას, ჯანსაღი ცხოვრების წესს, მამულიშვილობის, ეროვნული და ოჯახიშვილობის ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცებას, უცხოეთში მცხოვრებ გვარიშვილებთან ნათესაური და კულტურული კავშირების აღდგენა



ძლიერი გვარი ერის ძლიერებაა

გაფართოებას.

**კავშირის ამოცანაა:**

2.2. აბულაძეთა გვაროვნული ისტორიის შექმნა. ძირითადი გენიალოგიური სქემის შედგენა. გვარის დემოგრაფიის, მიგრაციის დადგენა, საყოველთაო აღწერა და გეოგრაფიული რუკის შედგენა. საქართველოს ისტორიაში აბულაძეთა გვარის ადგილის წარმოჩენა. გვარის იმ წარმომადგენლების ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა და გამომზეურება, რომლებმაც დადებითი კვალი დატოვეს ქართველი ერის ისტორიაში.

2.3. გვარიშვილებზე მატერიალური დახმარების გაწევა.

2.4. გვარიშვილებს შორის ნათესაური ურთიერთობების გაღრმავება-განმტკიცება.

2.5. ქართული ადათ-წესების და ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით საგვარეულო იდეოლოგიის (ზნეობა, ეთიკა, მორალი) ჩამოყალიბება.

2.6. ხელისუფლების წინაშე დასმული საკითხების და პრობლემების გადაჭრისათვის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველი ერის შემჭიდროება-გაძლიერებისათვის ხელის შეწყობა.

2.7. გვარიშვილთა მაღალინტელექტუალურად აღზრდის და მათ დასაქმებისათვის ზრუნვა.

2.8. გვარში მზრუნველობას მოკლებული, ინვალიდი და ავადმყოფი ადამიანებისათვის მატერიალური დახმარება. ზრუნვა მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის.

2.9. ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევების დროს გვარიშვილობისადმი მატერიალური და ფინანსური დახმარების გაწევა.

2.10. კავშირის ეგიდით საქველმოქმედო ფონდის ( უპატრონოთა და ინვალიდთა სახლი) შექმნა, რომელიც აუცილებელ საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევს, როგორც საგვარეულოს ასევე სხვა გვარის წარმომადგენლებსაც.

2.11. ხელი შეუწყოს გვარში ღირსეული წარმომადგენლების არჩევას საქართველოს არჩევით ორგანოებში.

2.12. გვარიშვილთა შორის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის პოპულარიზაცია და კავშირის ხარჯზე მათი გამწესება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ არსებულ პრესტიჟულ სასწავლებლებში, სხვადასხვა ტურნირებზე, კონკურსებზე, კონფერენციებზე და ა.შ.

2.13 კავშირის წევრები აქტიურად მონაწილეობენ ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შემუშავებაში.

2.14. კავშირი იცავს მის წევრთა სამართლებრივ, სოციალურ, ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.

2.15. კავშირი დასახული მიზნების მისაღწევად დებს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და კისრულობს ვალდებულებებს.

2.16. მოსწავლე ახალგაზრდობის ინტელექტუალური დონის ამაღლების, აღზრდა-განათლების სრულყოფისა და ქართული, ეროვნული სულისკვეთების გაღრმავების, საგვაროვნო ტრადიციების აღორძინების მიზნით, მეცნიერ სპეციალისტთა მონაწილეობით შეიმუშავებს პროგრამებს, წინადადებებს, რომელთა განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლით, ქართველ და უცხოელ ქველმოქმედთა გაცემული გრანტებით, შემოწირულობებითა და სხვა სახსრებით, ატარებს ღონისძიებებს, კავშირის მიზნის მისაღწევად.

2.17. კავშირის წევრთა მონაწილეობით აწყობს მხატვრული შემოქმედების ოლიმპიადებს, კონკურსებს, გამოყენებითი ხელოვნებისა და შინარეწვის ნიმუშების გამოფენებს.

2.18. კავშირი ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მეცნიერულ ტექნიკური მიღწევების დანერგვას, ექსპორტის პოტენციალის გაზრდას, მოსახლეო-

ბის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, თავისი წვლილი შეაქვს სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული ბაზის შექმნაში, ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში. მათ შორის ახალი ტერმინის „აზროვნების ეკოლოგიის" დამკვიდრებაში, რაც შეუწყობს ხელს საზოგადოების განწმენდას მანკიერებისაგან. ზნეობრივ აღზევებას, რაც იქნება საფუძველი ერის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისა.

2.19. კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებს და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

აბულაძეთა საგვარეულო კავშირის დაფუძნება, ხელს შეუწყობს შემუშავდეს პროგრამები, რეკომენდაციები, წინადადებები და დასახოს მათი რეალიზების, ცხოვრებაში გატარების გზები და საშუალებები.

2.20. კავშირს უფლება აქვს:

– დაარსოს ფილიალები;

– დაარსოს საინფორმაციო საგამომცემლო ორგანო. გააჩნდეს ბეჭდვითი ორგანოები.

– მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნებაში, განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომლისგანაც მიღებული შემოსავლები მოხმარდება კავშირის მიზნების განხორციელებას.

## მუხლი III
## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მართვის ორგანოები

3.1. კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა კავშირის წევრთა ყრილობა (საერთო კრება). ყრილობა მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც, წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში, გამგეობის მიერ. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კავშირის წევრთა უმრავლესობა. საერთო კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობენ კავშირის წევრები; თითოეულ წევრს საერთო კრებაზე აქვს თითო ხმა.

3.2. კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობითი ან ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით კრებამდე ორი კვირით ადრე, დღის წესრიგის მითითებით.

3.3. ყრილობის (საერთო კრების) გადაწყვეტილება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი. კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე – ორი მესამედის უმრავლესობით. კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს.

კავშირის ყრილობა (საერთო კრება) ღია კენჭისყრით ირჩევს კავშირის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის წარდგინებით მოადგილეს.

3.4. ყრილობას (საერთო კრებას) უფლება აქვს:

ა. დაამტკიცოს და შეიტანოს შესწორებები და დამატებები წესდებაში;

ბ. განსაზღვროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;

გ. აირჩიოს გამგეობა. გამგეობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად არის კავშირის თავმჯდომარე.

დ. დაამტკიცოს წლიური ბიუჯეტი და მიიღოს გადაწყვეტილება შემოსავლების კავშირის მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე;

ე. მიიღოს გადაწყვეტილება კანონითა და წინამდებარე წესდების განსაზღვრულ, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ვ. მიიღოს გადაწყვეტილებები კავშირის წევრის გარიცხვის შესახებ;

ზ. აირჩიოს სარევიზიო კომისია და მისი თავმჯდომარე, მოისმინოს გამგეობის, სარევიზიო კომისიის ანგარიშები.

ი. აირჩიოს პრესცენტრის შემადგენლობა, ხელი შეუწყოს მის ნორმალურ ფუნქციონირებას.

კ. განიხილოს გამგეობის მიერ წარმოდგენილი საკითხები.

ი. მიიღოს გადაწყვეტილებები კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

3.5. კავშირის წევრთა ერთ მეათედის (წერილობითი მოთხოვნით) ან გამგეობას, უფლება აქვს მოიწვიოს რიგგარეშე კრება დღის წესრიგის მითითებით.

3.6. კავშირი ირჩევს გამგეობას.

3.7. გამგეობა წარმოადგენს კავშირის კოლეგიურ ხელმძღვანელ ორგანოს. გამგეობას ოთხი წლის ვადით ირჩევს კავშირის ყრილობა (საერთო კრება) ღია კენჭისყრით.

3.8. გამგეობა შედგება 7 წევრისაგან:

– ვახტანგ აბულაძე, დაბადებული 1958 წლის 17 ივნისს ხულოში. პროფესია ინჟინერ-გეოლოგ-გეოფიზიკოსი, ეკონომისტ-იურისტი. მცხოვრები ქ. ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ. №172/174 -ბინა 30, პირადობის მოწმობა №დ0531110 პირადი №61001044571 გაცემული ბათუმის შს სამმართველოს მიერ 06.09.2004 წელს.

–გიორგი აბულაძე, დაბადებული 1943 წლის 19 ოქტომბერს ქ. ცხინვალში. პროფესია ინჟინერ მშენებელი. მცხოვრები ქ. გორი სტალინის გამზირი №29 ბინა 27. პირადობის მოწმობა №ბ0102894, პირადი №59001005450 გაცემული გორის შს სამმართველოს მიერ 15.03.1996 წელს.

–ლევან აბულაძე დაბადებული 1976 წლის 13 ივლისს ხულოში. პროფესია იურისტი, მცხოვრები ხულოს რაიონის სოფ. შურმული. პირადობის მოწმობა №გ0019847, პირადი №61009005011 გაცემულია ხულოს შს რაიგანყოფილების მიერ 2001 წლის 5 აპრილს.

–ზაურ აბულაძე, დაბადებული 1961 წლის 19 ნოემბერს ხულოს რაიონში. პროფესია ექიმი–სტომატოლოგი, მცხოვრები ქ. ბათუმი ჯორჯიაშვილის ქ.№17 პირადობის მოწმობა №ბ0010482, პირადი №61001001838 გაცემული ქ. ბათუმის შს სამმართველოს მიერ 04.05. 1995 წელს.

–რევაზ აბულაძე, დაბადებული 1950 წლის 21 ივნისს ქედაში. პროფესია პედაგოგი, მცხოვრები ქედა. დაბა ქედა რუსთაველის ქ. №23 პირადობის მოწმობა №გ0453181, პირადი №61008006386 გაცემული ქედის რაიონის შს რაიგანყოფილების მიერ 29.12.2003 წელს.

–მინურ აბულაძე, დაბადებული 1955 წლის 16 ოქტომბერს ხულოს რაიონში პროფესია პედაგოგი, მცხოვრები ქ. ბათუმი ბესიკის ქ. №42 ბინა 48. პირადობის მოწმობა №გ0011894, პირადი №61001007249 გაცემული ქ. ბათუმის შს სამმართველოს მიერ 22.11. 1995 წელს.

– რამინ აბულაძე დაბადებული 1953 წელს 2 იანვარი ხულოში. პროფესია ჟურნალისტი, მცხოვრები ლუკა ასათიანის ქ. №79/81 ბინა 31. პირადობის მოწმობა №დ0134188, პირადი № 61001023339 გაცემულია ბათუმის შს სამმართველოს მიერ 19.10.1999 წელს.

3.9. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს გამგეობის სხდომებზე, რომლებიც ტარდება არანაკლებ ერთხელ კვარტალში. სხდომები მოიწვევა თითოეული წევრისათვის შეტყობინებით (წერილით, ფაქსით, ტელეფონით) დღის წესრიგის მითითებით, 5 დღით ადრე სხდომის თარიღამდე. გადაწყვეტილებები გამგეობის სხდომაზე მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

**3.10. გამგეობა უფლებამოსილია:**

ა. განსაზღვროს კავშირის საქმიანობის მიმართულებები, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას, წესდებას და ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ბ. მიიღოს გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფების, სექტორების შექმნისა და დაშლის, მათი ფუნქციების განსაზღვრის თაობაზე.

გ. განახორციელოს სხვა მოქმედებანი, რომლებიც შეესაბამება ან აუცილებელია ყრილობას (საერთო კრების) გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს.

დ. განაგოს კავშირის ქონება.

ე. მოიწვიოს და ორგანიზაციულად უზრუნველყოს ყრილობის გამართვა.

ვ. მიიღოს გადაწყვეტილება დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ.

ზ. ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე განახორციელოს ლიკვიდაცია.

3.11. გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად არის კავშირის თავმჯდომარე პირადად აგებს პასუხს კავშირის წინაშე.

**უფლებამოსილია:**

ა. წარმოადგინოს კავშირი ერთპიროვნულად, მესამე პირებთან ურთიერთობაში, საბანკო დაწესებულებებში;

ბ. დანიშნოს გამგეობის სხდომა და განსაზღვროს დღის წესრიგი;

გ. გაუძღვეს კავშირის საქმიანობას კეთილსინდისიერად;

დ. განახორციელოს კავშირის საერთო ხელმძღვანელობა;

ე. განსაზღვროს კავშირის ამოცანების რეალიზაციისათვის და მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საშტატო ერთეულთა რაოდენობა, განრიგი და დასამტკიცებლად წარუდგინოს დარბაზს.

ვ. სამუშაოზე მიიღოს და გაანთავისუფლოს მუშაკები;

ზ. დადოს შრომითი ხელშეკრულებები საზოგადოებაში მოწვეულ მუშაკებთან და განსაზღვროს მათი გასამრჯელოს ოდენობა;

თ. დადოს კავშირის სახელით სხვა ხასიათის ხელშეკრულებები და გარიგებები;

ი. განკარგოს კავშირის ქონება და სახსრები გამგეობასთან შეთანხმებით;

3.12. კავშირის (გამგეობის) თავმჯდომარის არყოფნის ან უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს მოადგილე.

## მუხლი IV
## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრები და მათი უფლება – მოვალეობანი

4.1. კავშირის წევრობა წარმოიშობა დაფუძნების ან კავშირში გაწევრიანების შედეგად. რეგისტრაციის მომენტისათვის კავშირის წევრები არიან წესდების პრეამბულაში მითითებული პირები.

4.2. კავშირის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა აბულაძე, რომლებიც იცნობენ წესდებას, იზიარებენ კავშირის მიზნებს და იცავენ ამ წესდების მოთხოვნებს და ამოცანებს. წევრებად მიღების საკითხს წყვეტს კავშირის გამგეობა მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე, ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით.

4.3. კავშირის წევრს აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები:

– მონაწილეობა მიიღოს კავშირის მუშაობაში ხმის უფლებით;
– არჩეულ იქნეს მართვის ორგანოებში;
– მიიღოს სრული ინფორმაცია კავშირის მუშაობის შესახებ;
– გაასაჩივროს გამგეობის გადაწყვეტილებები სასამართლოში, თუ ისინი, მისი აზრით, არ შეესაბამებია კანონმდებლობის მოთხოვნებს და ამ წესდებას;
– უარი თქვას კავშირის წევრობაზე და გამოვიდეს მისი შემადგენლობიდან;

– კავშირის წევრს შეიძლება ქონდეს სხვა უფლებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას;

4.4. კავშირის წევრი ვალდებულია:

– აქტიური მონაწილეობა მიიღოს კავშირის საქმიანობაში, მისი მიზნების განხორციელებაში;
– დასახოს კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებანი კავშირის მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის.
– დროულად გადაიხადოს საწევრო შენატანი.
– შეასრულოს წესდების მოთხოვნები და კავშირის არჩევითი ორგანოების გადაწყვეტილებები.

## მუხლი V
## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური საქმიანობის კონტროლი

5.1. კავშირის საქმიანობის კონტროლისა და ზედამხედველობის მიზნით ყრილობის მიერ იქმნება სარევიზიო კომისია, 3 წევრის შემადგენლობით, რომლის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ კავშირის წევრები.

5.2. სარევიზიო კომისია აკონტროლებს და ამოწმებს:

– კავშირის ადმინისტრაციულ, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობას.
– სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.
– კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ კავშირის წევრები.

## მუხლი VI
## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური წყაროები და ქონების განკარგვა

6.1. კავშირის ქონებრივი და ფინანსური შემოსავლების წყარო შეიძლება იყოს ქონების შეძენის ნებისმიერი კანონიერი საშუალება.

6.2. წევრებს არა აქვთ უფლება მიიღონ სახლაური წევრობის საფუძველზე, არც ერთ პირს არ შეუძლია მიიღოს ანაზღაურება კავშირის ფინანსებიდან, თუკი ასეთი ანაზღაურება არ უკავშირდება კავშირის მიზნების განხორციელებას.

6.3. კავშირს უფლება აქვს ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას. მიღებული მოგება ხმარდება კავშირის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. მისი განაწილება წევრებს შორის დაუშვებელია.

## მუხლი VII
## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკონსულტაციო საბჭო – დარბაზი

7.1. წესდებით კავშირის წინაშე მდგარი ამოცანების უკეთ განხორციელების მიზნით იქმნება საკონსულტაციო საბჭო – დარბაზი.

7.2. დარბაზი ღია კენჭისყრით აირჩევა ყრილობის (საერთო კრების) მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით, 4 წლის ვადით.

7.3. დარბაზის წევრთა რაოდენობა განისაზღვრის 21 წევრით, კანდიდატურების წამოყენება შეუძლია ყრილობას (საერთო კრებას).

7.4. დარბაზი იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ერთხელ კვარტალში.

## მუხლი VIII
## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრესცენტრი

8.1. კავშირის უკეთ ფუნქციონირებისათვის ინფორმაციების მისაღებად, დასამუშავებლად, გასაცნობად და დაგროვებისათვის იქმნება პრესცენტრი, 3 წევრის შემადგენლობით, რომლის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ კავშირის წევრი. ყრილობა განსაზღვრავს პრესცენტრის შემადგენლობას.

## მუხლი IX
## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

9.1. კავშირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. კავშირის ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს ყრილობის გადაწყვეტილებით, მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

9.3 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ დამფუძნებლები.

9.4. ლიკვიდაციას ახორციელებს კავშირის თავმჯდომარე.

ხელმოწერები:
დამფუძნებელი წევრები

1. ვახტანგ აბულაძე
2. გიორგი აბულაძე
3. ლევან აბულაძე
4. ზაურ აბულაძე
5. რევაზ აბულაძე
6. მინურ აბულაძე



ძლიერი გვარი ერის ძლიერება

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

# სანოტარო აქტი

ქ. ბათუმი, ორი ათას შვიდი წლის ოცდაერთ დეკემბერს მე, ნათია ხვანიძეს, ნოტარიუსს ქ. ბათუმში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ერას ქ. №2ა მომმართეს ბატონებმა ვახტანგ აბულაძემ, გიორგი აბულაძემ, ზაური აბულაძემ, რევაზ აბულაძემ, მანური აბულაძემ, და ლევან აბულაძემ, რომლებმაც წარმოადგინეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აბულაძეთა საგვარეულო კავშირი"-ს წესდება, განაცხადეს, რომ არიან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „აბულაძეთა საგვარეულო კავშირი"-ს დამფუძნებლები და მოითხოვეს წესდების სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართეს ვახტანგ აბულაძემ (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 17.06.1958 წელს ხულოში, მცხოვრები ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. № 172/174, ბინა № 30, პირადი №61001004457, პირადობის მოწმობა № დ 0531110, გაცემული 06.09.2004 წელს ბათუმის შს სამმართველოს მიერ), გიორგი აბულაძემ (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 19.10.1943 წელს ცხინვალში, მცხოვრები გორი, სტალინის გამზ. № 29, ბინა № 27, პირადი №59001005450, პირადობის მოწმობა № ბ 0102894, გაცემული 15.03.1996 წელს გორის შს სამმართველოს მიერ), ზაური აბულაძემ (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 19.11.1961 წელს ხულოს რ-ნი, მცხოვრები ქ.ბათუმი, ჯორჯიაშვილის ქ. № 17, პირადი №61001001838, პირადობის მოწმობა № ბ 0010482, გაცემული 04.05.1995 წელს ქ.ბათუმის შ/ს სამმართველოს მიერ), რევაზ აბულაძემ (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 21.06.1950 წელს ქედაში, მცხოვრები ქედა, დაბა ქედა, რუსთაველის ქ. № 23, პირადი №61003006386, პირადობის მოწმობა № გ 0453181, გაცემული 29.12.2003 წელს ქედის შს რაიგანყოფილების მიერ), მანური აბულაძემ (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 16.10.1955 წელს ხულოს რაიონში, მცხოვრები ქ. ბათუმი, ბუხაიძის ქ.№42, ბინა 48, პირადი №61001007249, პირადობის მოწმობა № გ 001189[illegible], გაცემული 22.11.1995 წელს ქ. ბათუმის შ/ს სამმართველოს მიერ) და ლევან აბულაძემ (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 13.07.1976 წელს ხულოში, მცხოვრები ხულო, სოფელი შურმული, პირადი №61009005011, პირადობის მოწმობა № გ 0019847, გაცემული 05.04.2001 წელს ხულოს შს რაიგანყოფილების მიერ). მე შევამოწმე ვახტანგ აბულაძის, გიორგი აბულაძის, ზაური აბულაძის, რევაზ აბულაძის, მანური აბულაძის და ლევან აბულაძის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, დავადგინე, რომ წინამდებარე წესდება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. მე ვახტანგ აბულაძეს, გიორგი აბულაძეს, ზაური აბულაძეს, რევაზ აბულაძეს, მანური აბულაძეს და ლევან აბულაძეს წავუკითხე წესდება და განვუმარტე მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტები შესაბამისი სარეგისტრაციო განაცხადით ხელმოწერით და საგადასახადო რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნას ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში. ვახტანგ აბულაძემ, გიორგი აბულაძემ, ზაური აბულაძემ, რევაზ აბულაძემ, მანური აბულაძემ და ლევან აბულაძემ წაიკითხეს წესდება და განაცხადეს რომ წესდება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე წესდებას. წესდება დადასტურებულია ჩემს, ნოტარიუსის ქ.ბათუმში ნათია ხვანიძის მიერ 5 (ხუთ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცათ დამფუძნებლებს.

რეგისტრირებულია რეესტრში № 1-4928

გადახდილია საზღაური 18 (თვრამეტი) ლარი + 3 (სამი) ლარი 24 თეთრი დღგ, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ------------------------------ ნათია ხვანიძე

ძლიერი გვარი ერის ძლიერებაა